ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6217584

ნომერი: AR1932498

თარიღი : 04.11.2022

გაცემის თარიღი : 21.11.2022

გაცნობის თარიღი : 21.11.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი ოქროყანა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი წიკლაური პ/ნ 01017045962
- საქართველო, ქალაქი თბილისი, ალეკო შენგელიას ქუჩა, N 6

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 04 ნოემბრის №AR1932498 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის 2022 წლის 20 ოქტომბრის №6171458 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 11 ნოემბრის №6204876 ბრძანებით და

2022 წლის 15 ნოემბრის №6209571 გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად. დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ ხარვეზები სრულად არ იქნა შევსებული, კერძოდ, წარმოდგენილ განშლაზე ფასადის ფართები სრულად არ არის დაფიქსირებული. საჭიროა წარმოდგენილ იქნას მხოლოდ ერთი განშლა - ,,განშლა დალაგებული გეგმების პერიმეტრის მიხედვით'', რომელზეც სართულის მიწისზედა ფასადის ფართები სრულად იქნება დაფიქსირებული. ასევე, განშლაზე საჭიროა მიეთითოს ღერძებიც. ამასთან, მიწისზედა ფასადის ფართების ჯამური მაჩვენებელი უნდა გასწორდეს აღნიშნულის შესაბამისად. ხოლო, კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის კონტური წარმოდგენილი იქნას შენობის პერიმეტრზე (ამჯერად არ შეესაბამება კონტურს) და საჭიროა ანგარიში განხორციელდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების მე-12 მუხლის შესაბამისად.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდეს მოთხოვნა კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობთან დაკავშირებით და წარმოდგენილ იქნას ახალი მიწისპირა სართულის განშლა ყველა ფასადის ჩვენებით, ასევე ფართობის და ღერძების დატანით. ამასთან, წარმოდგენილ იქნას კ2 კოეფიციენტის საანგარიშო ფართის კონტური შენობის პერიმეტრზე.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 15 ნოემბრის №6209571 გადაწყვეტილებას გაეცანით 2022 წლის 15 ნოემბერს და განახლებული დოკუმენტაცია წარმოადგინეთ 2022 წლის 17 ნოემბერს, სამსახურის მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად დადგენილი 29 (ოცდაცხრა) სამუშაო დღიდან დარჩენილია 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღე. სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 27 (ოცდაშვიდი) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, თქვენი 2022 წლის 04 ნოემბრის №AR1932498 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
